

# ინფორმაციული ტექნოლოგიების შესავალი

## ლექტორი

გიორგი ბასილაია

## კურსის დრო

11 შეხვედრა (21 საათი)

## სასწავლო კურსის მიზნები

კურსის მიზანია კურსდამთავრებულმა მიიღოს ზოგადი ცოდნა ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინფორმაციული სისტემების, ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით. კურსის ფარგლებში მიღებული საბაზო ცოდნა და უნარები კურსდამთავრებულს დაეხმარება ტექნოლოგიების სფეროში კარიერის დაგეგმვაში და სფეროს სხვა კურსების მარტივად დაძლევაში.

## სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: კურსის გაცნობა, ციფრული ინფორმაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები

ლექცია 2: ციფრული სამყაროს მუშაობის პრინციპები

ლექცია 3: პერსონალური კომპიუტერის არქიტექტურა

ლექცია 4: ციფრული მონაცემები და აპარატურა - ფოტო, აუდიო, ვიდეო, VR/AR

ლექცია 5: ოპერაციული სისტემები

ლექცია 6: კომპიუტერული ქსელები

ლექცია 7: ინტერნეტი და ინფორმაციული უსაფრთხოება

## ლექცია 8: შესავალი პროგრამირებაში

## ლექცია 9: მონაცემთა ბაზები

## ლექცია 10: სერვერები და ღრუბლოვანი სერვისები

## ლექცია 11: კურსის შეჯამება და საბოლოო გამოცდა

### სასწავლო კურსის შედეგები

#### კურსის მსმენელებმა იციან:

- კომპიუტერული სისტემების მუშაობის პრინციპები
- კომპიუტერული აპარატურის არქიტექტურის საწყისები
- სხვადასხვა ციფრული მონაცემების და მულტიმედია ფორმატები
- ოპერაციული სისტემების დანიშნულება და მუშაობა
- კომპიუტერული ქსელების და საბაზისო პარამეტრების არსი
- ინტერნეტის მუშაობის პრინციპი და ინფორმაციული უსაფრთხოების ასპექტები
- პროგრამირების ენები და მონაცემთა ბაზების გამოყენების მნიშვნელობა
- სერვერული და ღრუბლოვანი სერვისების გამოყენების სფეროები
- სმარტ მონაცემების, ჭკვიანი სისტემები და მათი გამოყენების შესაძლებლობები

#### კურსის მსმენელებს შეუძლიათ:

- კომპიუტერის კომპონენტების იდენტიფიკაცია
- ციფრული ფორმატების იდენტიფიკაცია და გარჩევა
- ქსელური მონაცემების იდენტიფიკაცია და ქსელური პარამეტრების გარჩევა
- მარტივი ინფორმაციული უსაფრთხოების წესების დაცვა
- უმარტივესი პროგრამის დაწერა და გაშვება
- სმარტ სისტემებით მცირე პროექტის შექმნა

#### კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი:

- კურსის წარმატებით დასრულების სერტიფიკატის მისაღებად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს მინიმუმ 70 ქულა.

- კურსის მინიმუმ 90 ქულაზე დასრულების შემთხვევაში, სტუდენტი ლექტორისგან მიიღებს წერილობით დახასიათებას/რეკომენდაციას.

## სასწავლო კურსის მოთხოვნები

კურსი არ მოითხოვს რაიმე სახის გამოცდილებას ან/და ცოდნას როგორც წინაპირობას, საკმარისია მონდომება და ინტერესი

## ლექტორის შესახებ

- გიორგი ბასილაიას აქვს ტექნოლოგიების სფეროში 20 წელიწადზე მეტი მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა პოზიციაზე საქართველოს 4 წამყვან უნივერსიტეტსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში
- გიორგი არის ავტომატიზაციის ხელსაწყოთმშენებლობის დოქტორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი, ინფორმატიკის ბაკალავრი
- მონვეული ლექტორი, ასისტენტ პროფესორი, სრული პროფესორი
- საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამებისა და სტუდენტური ნაშრომების ხელმძღვანელი
- 14 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი საერთაშორისო ჟურნალებში - 800 ციტირება [Google Scholar](#) ის მიხედვით.
- 10 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე / მომსახენებელი
- 18 სამეცნიერო პროექტისა და გრანტის მონაწილე, მენეჯერი და ხელმძღვანელი (დამფინანსებლები - NATO, ISTC, GRDF, CRDF, USAID, GNSF, TEMUPS, PEER, ERASMUS)
- გიორგის აქვს სხვადასხვა ტექნოლოგიურ ბრენდებთან ურთიერთობის გამოცდილება ტექნოლოგიების ინტეგრაციაში (HP-Enterprise, Dell, Ruckus, VMWare, Microsoft, Amazon, Symantec, Oracle, IBM, Autodesk)